რედაქცია

ვანოვის ქუჩაზე, სტ. მელიქიშვილის სტამბაში, ამატუნის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи газеты „Дроэба“, при типографіи Меликова.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.
ცალკე ნომერი — ერთი შაური.

# დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცერონით, სტრიქონზე — 5 კაპ. და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.

დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომრები „დროებისა“ ისყიდება:

ვართანოვის წიგნის მაღაზიაში (კუკიის ხიდზე, მირზოევის შენობაში)
გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (კუკიის ხიდთან, ზუბალოვის სახლში)
„კარდანახის“ სარდაფში (სასახლის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში)
„სულთანის“ თამბაქოს მაღაზიაში (სუდის ქვეშ)
ადამოვის კანტორაში (სიონის პირ-და-პირ)
სტეფანოვის მაღაზიაში (შუა ბაზარში)
გრიგოლოვის მაღაზიაში („კავკაზის“ სასტ. ქვეშ, მირზოევის სახლებში)

ფასი თითო ნომრისა — 5 კაპეიკი

ხელის-მოწერა ამ 1877 წლის

„დროებაზე“

მიიღება გაზეთის რედქციის კანტორაში, სტ. მელიქიშვილის სტამბაში (ვანოვის ქუჩაზე, ნაპ. ამატუნის სახლებში).

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა შემდეგის ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| ფასი | მთელი წლის გაზეთისა — — | 8 — | „ |
| | ექვსი თვისა — — — — — | 4 — | 50 |
| | სამის თვისა — — — — — | 2 — | 50 |
| | ერთის თვისა — — — — — | 1 — | „ |

ხვედრი ფასი გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა გამოიგზავნოს რედაქციაში.

## ტელეგრამმები

### ბრძოლის ველიდამ

**ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ა პ ო ლ ი, 24 აპრილს.** ორი ატრიადი, ერთი პოლკოვნიკის გრაბბესი (გულპიდამ) და მეორე ღენ.-მაიორის ლორის-მელიქოვის (ვიხენკევიდამ) ერთსა და იმავე დროს გამოვიდნენ და უბრძოლველად დაიჭირეს ქალაქი ყაღიზმანი. მცხოვრებლებს მოაქვთ თოფები, რომელიც ჯარსიდამ მოსვლიათ.

— **26 აპრილს.** ტვერის დრაგუნების პოლკი და სამასი კაცი მთიულები, ღენ.-მაიორის შერემეტიერის თაოსნობით, წავიდნენ ყარსის სიმაგრისა და იმის ახლო-მახლო ადგილების დასათვალიერებლად. ყველა რო დაათვალიერეს და უკან მოდიოდნენ, ბერდიე-ჩაისთან დაუხვდა ამათ ჯარსიდამ გამოგზავნილი კავალერია და 4 ბატალიონი ქვევითი ჯარი თავის ბატარეიით, გაცხარებული სროლა შეიქნა. როცა ჩვენმა ჯარმა ოსმალოს ცხენოსნები უკუ-აქციეს, ამ დროს წინ წამოაყენეს დამალული 4 ბატალიონი ქვევითა ჯარი თავის ბატარეიით და დაგვიწყეს სროლა. ჩვენის მხრით და[illegible] პარუჩიკი ვექილოვი და 8 სალდათი. ოსმალებს წავართვით ჩვენ არდაანიდამ ყარსს მიმავალი ფოჩტა და 5 სალდათი დავატყვევეთ.

**ს ტ ა მ ბ ო ლ ი, 25 აპრილს.** ოსმალეთმა გამოაცხადა ბლოკადა მთელი შავი ზღვის ნაპირებისა; 9 მაისიდამ ყველა ხომალდს, რომელსაც კი შავს ზღვაზე ნახავს, მტრის ხომალდათ ჩათვლის და ისეც მოექცევა.

**პ ა რ ი ჟ ი, 23 აპრილს.** ჰოლლანდიის ბანკირების საშუალებით რუსეთმა 82 მილიონი მანეთი ისესხა.

**ა თ ი ნ ა, 24 აპრილს.** ერთი ქვევითი პოლკი, მმართებლობის ნება-დაურთველად, გადავიდა სამზღვარზე და დაუწყო ბრძოლა ოსმალოს მოსამზღვრე ყარაულებს. საზოგადოთ საბერძნეთში ხალხი მალიან აღელვებულია.

**ი გ დ ი რ ი, 27 აპრილს.** გუშინ ერევნის ატრიადმა დაიჭირო დიადინი. მცხოვრებლები დაგვემორჩილნენ. ჯარის ჯანმთელობა კარგს მდგომარეობაშია.

## ომის ამბავი

### პოლიტიკური მდგომარეობა

ჯერ-ჯერობით, როგორც ჰხედავთ, ბრძოლის ველი მარტო რუსეთსა და ოსმალეთს უჭირავსთ. ევროპის დანარჩენი სახელმწიფონი ბევრს მეკადინეობდნენ, რომ ეს ბრძოლა არ მტყდარიყო, რომ რუსეთსა და ოსმალეთს შუა ომის ატეხის მიზეზი მოესპოთ და მშვიდობიანათ გაეთავებინათ, დროებით მაინც არის, ეს დაბოლოებელი „აღმოსავლეთის საქმე“; მაგრამ ვერა გააწყეს-რა. ომი ტყდა.

და თვითონ ეს ევროპის სახელმწიფოები და მათ შორის ინგლისი და ავსტრია, რომელნიც ასე მეტოქენი არიან ამ აღმოსავლეთის საქმეებში, განზე გადგნენ და სეირს უყურებენ.

მაგრამ საქმე იმაშია — დიდ ხანს გასწევს ეს ამათი შორიდამ სეირის ცქერა? დიდ ხანს გასძლებს ეს თითქო გულ-გრილობა და ხელ-გაუნძრევლობა ევროპის სახელმწიფოებისა და განსაკუთრებით ინგლისისა?

თუმცა ევროპის ყველა უმთავრეს სახელმწიფოებმა გამოაცხადეს, [illegible] ნეიტრალიტეტს“ დავიჭერთო, არცერთ მეომარ მხარეს არ მივემხრობით ამ ბრძოლაშიო, მაგრამ დიდი წინასწარმეტყველება საჭირო არ არის იმისთვის, რომ სთქვას კაცმა, რომ ეს ნეიტრალიტეტი, ეს თითქო გულგრილად ცქერა ორ მებრძოლთ ჩახაჩუხისა დიდ ხანს ვერ გასძლებს, ანუ უკეთ ვსთქვათ, გასძლებს მხოლოთ იმ დღემდი, რა დღესაც ერთი კარგი ლაზათიანი შეტაკება მოხდება და რომელიმე ამ მებრძოლთაგანი საგრძნობლად დაიმარცხება.

თუ ჩვენმა შორს-გამჭვრეტყელობამ არ მოგვატყუილა, საქმე ასე მოხდება:

პირველს შესამჩნევს შეტაკებაშივე რუსეთი დაამარცხებს ოსმალეთს. რუსეთის ჯარების სიმრავლე, მომზადება, იმის მომხრეების სიმრავლე სლავიანებში და სხვა ყველა გარემოება გვეუბნება, რომ ეს ასე მოხდება, ე. ი. რომ რუსეთი გაიმარჯვებს.

მაშინ, იმ წამსვე, ამოჰყოფს თავს ინგლისი და წინადადებას მისცემს მებრძოლთ — მორიგდითო. რუსეთი თავის პირობას წარადგენს მორიგებისას, ინგლისი — ამ შემთხვევაში თავის თავისა და ოსმალეთის ინტერესების წარმომადგენელი — თავისას. რუსეთი, როგორც გამარჯვებული მხარე, უეჭველია, ბალკანის სლავიანების, ე. ი. ბოლგარიის, ბოსნიის, ჰერცოგოვინისათვის, სრულს დამოუკიდებლობას თუ არა, ფართო რეფორმების მინიჭებას მაინც მოითხოვს ოსმალეთისაგან. ინგლისი, და იქნება ავსტრიაც, უეჭველია, წინააღმდეგნი იქნებიან, რომ ოსმალეთის დამოკიდებულებისაგან სლავიანები გაანთავისუფლონ, არ დათანხმდებიან, რომ ოსმალეთს რომელიმე მიწა ანუ სამფლობელო ჩამოაცალონ.

ამ მოლაპარაკების დროს საფიქრებელია, რომ ევროპის უმთავრესს სახელმწიფოებში რუსეთის მხარეს დაიჭერენ: გერმანია და იტალია; ინგლისის მხარეს — ავსტრია; საფრანგეთის პოლიტიკური მდგომარეობა კი იმას მოითხოვს, რომ დრომდინ იმან არც ერთის მხარე დაიჭიროს და არც მეორესი.

თუ მორიგდნენ, თუ ორივე მოწინააღმდეგე მხარე ერთს რაზედმე დაითანხმეს, ხო კარგი; თუ არა და შესაძლებელია, რომ ხელმეორედ ატყდეს ომი. და ომიც, ნამდვილი ომიც მაშინ დაიწყება, რადგან მოსალოდნელია, რომ ამ ომში მთელი ევროპა მიიღებს მონაწილეობას. ერთის მხრით გადგებიან: რუსეთი, გერმანია, იტალია, საბერძნეთი და სლავიანების ხალხები; მეორეს მხრით: ოსმალეთი, ინგლისი, ავსტრია და იქნება საფრანგეთიც.

მაგრამ შეიძლება საქმე ასე შორს არ წავიდეს; შეიძლება ოსმალეთი და იმის მომხრენი დათანხმდნენ, რომ სლავიანების მიწებში საფუძვლიანი რეფორმები შემოიღონ და რუსეთს შავს ზღვაზე თავის ხომალდების ყოლის უფლება მისცენ.

მაგრამ, თუ ყოვლად მოულოდნელი და წარმოუდგენელი საქმე მოხდა და ოსმალოს პირველს შეტაკებაში რუსეთის ჯარებმა ვერა დააკლოსრა და თუ ამ გარემოების შემდეგ ჩაერია ევროპა მებრძოლთ მოსარიგებლად, მაშინ კი ოსმალეთის იმპერია, რასაკვირველია, სრულიად ხელუხლებელი დარჩება და სლავიანების ხალხებში რეფორმების შემოღებაც იმის ნება-ყოფლობაზე იქნება დამოკიდებული. რუსეთიც ისევ იმ პოლიტიკურ მდგომარეობაში დარჩება, რომელშიაც ახლა იმყოფება.

ამნაირად, ვინც უნდა გაიმარჯვოს ამ ომში, ერთი შედეგი იმისა, ნამდვილად ვიცით, იქნება ბალკანის სლავიანების მდგომარეობის გაუმჯობესობა; მაგრამ ეს შეიძლებოდა უომოთაც აღსრულებულიყო, და ოსმალეთი ომის დაწყობამდინაც შეუდგა ამ საქმეს.

სხვა რა შედეგები ექნება კიდევ ამ ორთა შუა ბრძოლას, რა სივრცეს მიიღებს ის, როგორც გაძლიერდება და თუ ევროპა გაერია, მაშინ რა ბოლო ექნება, ვის თავისუფლებას დაეხმარება ანუ ვის დალუპავს, — ყველა ამის თქმა ახლა, რასაკვირველია, შეუძლებელია.

ს. მ.

ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა — სევფეტ-ფაშამ გაუგზავნა ოსმალეთის ყველა ელჩებს უცხო ქვეყნებში შემდეგი ცირკულიარი,

გორვა, ფეხების-ქნევა და თავით ტალახზედ ტყაპა-ტყუპი; ეს უცნობი ხან ადგება და ხან დაეცემა დედამიწაზედ. Ყარაულები გაიქცნენ საჩქაროდ დასაჭერად დაკოდილისა; უფროსმა უბრძანა: მოიყვანეთ იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიაც დაიჭიროთო. მისცვივდნენ, ერთმა ფეხში სტაცა ხელი, მეორემ კისერში, მესამე ზედ შეახტა და უთხრა: „ვაი, შან ვორთი ტაჭიკ!" Ამათ ეგონათ, რომ ფაშა ან ვინმე მულაზიმი დაიჭირეს დაკოდილი. Წამოათრიეს ეს საწყალი, ტალახში თრევა-თრევით მოიყვანეს და დაუგდეს უ. თავის უფროსს ერთი დიდი მავი ვირი!

Აქედამ სჩანს, ეირს რომ უფანროთ არ ატარებენ მინდორზედ საძოვრათ, ცხადია მტერსაც არ მოუშვებენ ქალაქზე".

## „დროების" კორრესპონდენცია

**ᲠᲐᲭᲘᲓᲐᲛ**, 22 აპრილს. თქვენს პატივცემულ გაზეთში, უფ. რედაქტორო, იყო ამა წინეთ დაწერილი უფ. Ბოგოლეთელის სტატია რაჭის საქმეების შესახებ, რომელშიაც, სხვათა შორის, მოხსენებული იყო, რომ გზების მუშაობისათვის გლეხებს არაფერს აძლევენო, ტყის სარგებლობისათვის ამავე გლეხებს სცარცვენო და სხვ. და სხვ.

Არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ხსენებული სტატიის ავტორს რომ ის ბევრს მართალს ამბობს.

Მაგრამ საჭიროთ ვრაცხ უფ. Ბოგოლეთელს განუმარტო ზოგიერთი კანონების წესები, [illegible] გზების მუშაობისა და ტყის სარგებლობის—შესახებ, რომელნიც იმას, როგორც ეტყობა, კარგათ არ სცოდნია:

Ყველა გუბერნიის მმართებლობა, რომელიც ერთს თავის მოვალეობათაგანათ იმას რიცხვს, რომ მაზრების და გუბერნიის დედა-ქალაქის ერთი მეორესთან, შემაერთებელი გზები კარგს მდგომარეობაში იქმნენ, ყოველ სამი წლის განმავალობაში ერთხელ თხოულობს ხოლმე მაზრების უფროსებისაგან ცნობებს, თუ რომელი გზები და ხიდები უნდა შეკეთდეს, ან თუ სად უნდა გაკეთდეს ახალი გზები ან ხიდები. Ამ გვარი ცნობებით მაზრის უფროსები უნდა გამოცხადდენ გუბერნიის სასამართლოში, სადაც საზოგადო სხდომაში შესდგება ანგარიში: რამოდენი ხარჯი წავა მომავლის სამ-წლიური პერიოდის განმავალობაში გზებზე და ხიდებზე; საკმაოა ამ საჭიროებათათვის ის გარდასახადი (земскій сборъ), რომელიც შემოდიოდა გარდამხდელ ხალხთაგან განვლილის სამის წლის განმავალობაში, ანუ უნდა მოემატოს იმ გარდასახადს და რაოდენი?

Ამის შემდეგ ამ საგანზე დაბოლოებითი მსჯელობისათვის გუბერნატორები იბარებიან-ხოლმე კავკასიის უმთავრესს სამმართველოში და იქ კიდევაც მტკიცდება ვარაუდი, სმეტა.

Სმეტაში განრკვევით არის ხოლმე ნაჩვენები, რომელს მაზრაში რა უნდა გაკეთდეს და რა უნდა დაიხარჯოს. Იქონიეთ სახეში, რომ ფული ინიშნება სასყიდლად რკინის სხ. და სხვ. სამუშაო იარაღებისა, რკინის მასალებისა ხიდებისათვის ეგრეთვე დასაჯილდოებლათ კატოზებისა, ხიდის ოსტატებისა, გზის კეთების დროს, მუშების ზედხედველებისა. Შავი მუშისათვის-რა არ არის განწესებული კანონსაგან. Ამ გვარი მუშა მორიგე იწვევა გლეხთ საზოგადოებისა, რომელსაც, კანონით, რიცხვთა-რის სხვა გარდასახადთა, ეს დე-ლებაც (натуральная повинность) წერილი აქვს.

Ესე არის იმ გზების შესახებ, რომელთაც სასოფლო, ანუ „საე." გზას უწოდებენ. Რაიცა შეეხება იმ გზებს, რომელთაც სახელმწიფო, ვსთქვა სამხედრო ან ეგ. ამ გვარი მნიშვნელობა აქვთ; იმ გზებზე მუშებისათვის კი ყოველ მუშას ეძლევა, კანონით, თავის შრომის სასყიდელი.

Საკმაოა, მგონია, ეს განმარტება იმის გასაგებათ, რომ იმ მუშებს, რომელნიც რიგით იწვევიან გზების საკეთებლათ არ აქვს დანიშნულ ხაზინიდგან გასამსჯელო, ქირა.

Ახლა ორიოდე სიტყვა იმ წესებზე, რომელნიც არსებობენ ტყე ბაქის ალების თაობაზე.

Ყოველ წლობით გამოდის ჯეროვანი მმართებლობისაგან ტაქსა, მაჩვენებელი ტყის მასალის გადაკვეთილის ფასისა. Ეს ტაქსები ურიგდება სოფლის მამასახლისებს გამოსაცხადებლად ხალხისა და შემდეგ გამოცხადებისა მიეკრება ხოლმე სოფლის სასამართლო კარებზე.

Მართალია, შეიძლება და ბევრგან ჩვენში ესეც არის, რომ ამ ტაქსებს სოფლებში არ არიგებენ და თუ არიგებენ, საქვეყნოთ არ აცხადებენ; მაგრამ ამგვარი შემთხვევები საკუთრივ რაჭაში, რამდენათაც მე ვიცი, უფრო იშვიათია, ვინემ სხვაგან. Ე [illegible] ფო ტყეს შეეხება; მეპატრონეებს კი გლეხები ტყისა და შეშის თაობაზე ნება-ყოფლობით უნდა მოურიგდნენ.

Საზოგადოთ რაჭველი გლეხის მდგომარეობა თან-და-თან უმჯობესდება და იწევს წინ; თავად-აზნაურობის მამული მათს ხელში გადადის; თუ ვინმე ექსპლუატატორობს ჩვენში, ისევ გლეხთაგანივე; პარაზიტი ჩვენი გლეხ-კაცისაგან ხეირს ვერ ნახავს, რადგან ვინც არ შრომობს, ის სძაგს გლეხს. Აქაური გლეხი ძალიან ფხიზელია, თვალ-გახელილია. Სხვა-და-სხვა მხარეებში, მიმოსვლიათ, მატერიალურ შეძენას კი არ სჯერდება, გამოცდილებასაც იძენს.

Განვიმეორებ, გლეხ-კაცობის საქმე ჩვენში წარჩინებით წინ მიდის კეთილშობილთ საზოგადოების საქმეზე. Უფ. Ბოგოლეთელს შეუძლია წაიკითხოს ანგარიში ხვანჭკარის გამსესხებელ-შემნახველის ამხანაგობისა, რომელიც გლეხებმა დააფუძნეს და რომლის საქმე ასე კარგათ მიდის. Ამ მაგალითმა ყველა ამ მაზრის გლეხთ საზოგადოებაში აღსძრა მხურვალე სურვილი ამ გვარი ამხანაგობის დაწესებისა; მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთს საზოგადოებაში არ მოიპოვება კაცი, რომელმანც იკისროს ამხანაგობის საქმეების მართვა.

Მაგალითებრ: სხვავის და Ბარის სოფლის საზოგადოებანი დიდი ხანია მეცადინეობენ, რომ იპოვონ კაცი, მაგრამ ვერ უპოვნიათ; ორივე ეს საზოგადოებანი შესდგებიან შეძლებულ ხალხთაგან; აქვსთ შკოლებიც. Თუ მიიღებთ თავის თავზე შრომას და დაეხმარებით მათ ამ საქმეებში, დაგარწმუნებთ შიმშილით თქვენ იქ არ მოკვდებით. Დაბა Ონში მალე გაიხსნება სასოფლო ბანკ; ამ ბანკის გამართვას ჰკისრულობს ჩინოვნიკობა. Მაგრამ არც ამათა ჰყავთ კაცი და ღმერთმა, იცის მონახვენ ხეირიან კაცს, თუ არა.

Ამაზე უფ. Ბოგოლეთელი, უეჭველია, მეტყვის. „Აკი მეც მაგას ვსჩივი, რომ არავინ არ ზრუნავს საზოგადოებისათვისო! Აკი მეც ვკითხულობ: სად არიან ის რაჭველი ყმაწვილები, რომელთაც მიუღიათ მაღალს სასწავლებელში სწავლაო!!" Ამ გვარის საჩივრებით, ყვედრებით, არაფერი არ გამოდის. Არაფერი გამოდის იმიტომ, რომ, საუბედუროთ, ჩვენ ყველანი მარტო ვყვირით, ვაყვედრებთ სხვებს, უკმაყოფილებას ვაცხადებთ სხვებზე, რომ სოფელში არ მოდიან, არ ცხოვრობენ, არავითარ საერო, საზოგადო საქმეს არ ჰკიდებენ ხელსა და ამ დროს თვითონ ჩვენ არხეინად ვატარებთ დროებას ქალაქებში და ოქროს ჯაჭვითაც ვერ დაგვაბამს კაცი სადმე გადაყრუებულ სოფელში!" Რა ძალა, რა მნიშვნელობა, რა გავლენა უნდა ჰქონოდა ამისთანა ცარიელ სიტყვებს ვისმეზე? Ყველას ვისაც კი სოფელში, ხალხში ცხოვრებას და „მოქმედებას" ურჩევთ, განა სრული უფლება არა აქვს გვითხრას:" საჭიროა, გამოსადეგია, სასარგებლოა, რომ სოფელში განათლებული პირები ცხოვრებდნენ? ძალიან კარგი! Გვიჩვენეთ მაგალითი და ჩვენც მოგვყვებით!"

Ს. ძრამაგელი

---

**ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ**, 20 აპრილს. Დასწყევლა ღმერთმა ახლანდელი დრო? Რას არ მოიგონებენ? Რას არ იტყვიან?.! Ჩიტის ოდენა საქმეს უშველებელ ზვავათ გადააქცევენ; სულ უპრალო რამეს, რომელიც ყურადღების ღირსიც არ არის, ისეთ ფრთებს გამოასხმენ, რომ ყველა ფრინველებს შეუძლიანთ იმის ფრთებ ქვეშ მოთავსება; ორ სიტყვას ორმოცათ გახდიან. Სასოფლო შკოლის შკაფს ათის საყმაწვილო ანბანით ბიბლიოთეკად გადააქცევენ....

Ეს ჭორი როდი არის? Ეს მიეწერება ნამეტანი ნიჭიერების ძალას. Და რა გგონიათ, არ არის ჩვენი ხალხი ნიჭიერი თუ?... Სცდებით, თქვენმა მზემა, თუ ასე ჰფიქრობთ. Და არც განათლებულ ხალხზედ ვლაპარაკობ, იმ განათლებულებზედ რომლებსაც რუსეთი და სამზღვარგარეთ ადგილები ფეხ ქვეშ აქვსთ მოდებული.... Ავილოთ, თუ გინდათ სულ უბრალო სოფლის ყაზახები, ისეთები, რომლებსაც ანი და ბანიც არ გაუგონიათ. Რომ არც ისინი არიან ჭკუა-ჩლუნგები? Იმათაც აქვსთ თავიანთ სამყოფი კი არა, თითქმის გადანამეტიც გონება-მახვილობა და ნიჭი.... Სულ სხვა არის ჭკუა-ჩლუნგი. Ეს უკანასკნელი ჰგავს ნამდვილად ჭურს: რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებს, არც მეტსა და არც ნაკლებსა; რასაც გაიგონებს, სწორეთ იმას იტყვის. Იმას არ შეუძლიან დაპატარაოს, გაადიდოს ან გაალამაზოს ის, რაც გაუგონია (და თავისით რომ რამე შესთხზოს, ხომ ღმერთმა ნუ ჰქნას), და ისე გადმოგცემსთ ნამდვილად, როგორც გაიგონა; ერთის სიტყვით, უმეტნაკლებოთ. Მაგრამ ჩვენ ხალხს, საზოგადოთ, ეს ნაკლულევანება არა აქვს. Იმას შეუძლიან ისეთი ფერ-უმარილი წასცხოს, ჭორი იქნება თუ ნამდვილი ამბავი, ისეთნაირათ გაალამაზოს, როგორც სამი დღის პატარძალი. Მაშინ კაცი ხარ, გული გაქვს და ნუ მოუსმენ. Ღმერთმანი, ისეთის სიხარბით დაუგდებ ყურსა, როგორც Იოანნე Ოქროპირის ქადაგებასა! Იცი, რომ ტყუილია, მოგონილია, თუ გინდა ჭორია, მაგრამ ყურს კი დაუგდებ და.

Ავილოთ, ბატონო, მაგალითად ბაასი ამ ომიანობაზედ ორი სოფლელი გლეხისა, რომლებსაც ჩამოუტანიათ ქუთაისში ბაზრობას თითო ნაჭერი ჰყინტლი ყველი და ხუთ-ხუთი კვერცხი გასასყიდლათ.

— Გეიგე, Ზურაბია, რა სწერია ქაღალდში ომზე? Ეუბნება ერთი გლეხი მეორეს.

— Არა, რა სწერია?

— Რა, შენი ჭირიმე, და ხონთქარს, ის დიდი ყეენი რომ არის, თანთარების ხემწიფე, გამოუგზავნია ჩვენებთან თორმეტი ბათმანი ფეტვის კაკალი და შემოუთვლია: არამც და არამც ჩემთან ბრძოლა არ გაბედოთო, თორემ ჩემ აუარებელ ჯართან ვერას გახდებითო. Როგორც ამ ფეტვის კაკალს ვერ დასთვლითო, ისე ჩემ ჯარსა, იმენი მყავსო.... Გეიგე თუ არა, თორმეტი ბათმანი ფეტვის კაკალი; ჰა, რას ფიქრობ, ცოტა ჯარი ჰყოლია?

— Იმე, Ღმერთმა ჩემს მტერს მისცეს! Რას უმბობ, შე კაცო? Ერთი მუჭა ფეტვის კაკალსაც ვერ დასთვლის კაცი, თორემ თორმეტი ბათმანი?... Მამ ტყუილათ-ღა გვიხარიან ჩვენ ჩვენი ნახნავ-ნათესი, სახლი და კარი, ცოლი და შვილი. Აუოხრებივართ თათარს და ესაა!...

— Დეიცა, შე კაცო, ყური დამიგდე, რა გითხრა. Ახლა არ იტყვი, რა უქნიათ ჩვენებს? Მოუგროვინებინებიათ, კუტა, რამოდენიმე მილიონი ყვინჩილა მამლები და უბრძანებიათ წაიღეთ ეს ფეტვი და წაიყვანეთ ეს ყვინჩილეები ხვანთქართან; გზაში ყვინჩილეებს ნურაფერს აჭმევთ, რომ ძალიან მოშივდეთო; როცა ხონთქრის კარებზედ მიხვიდეთ, ეს ფეტვი დააბნიეთ და მიუშვით ზედ ყვინჩილეებიო, რომ სულ ერთიანათ აჰკენკონ და ხონთქარს კი ასე უთხარითო: როგორც რომ შენი გამოგზავნილი ფეტვი ჩვენ ყვინჩილეებს არა გაუხდათ-რა, ისე შენი ჯარი ჩვენს ჯარს არაფერს გაუხდებაო. Შენის ნებით დაგვნებდი და თავი მოგვირიდე, თორემ სულ ერთიანათ ამოგიწყვეტთ ჯარსა და შენც დაგატყვევებთო. Გაგზავნილ კაცებს ბრძანება ნამდვილად აესრულებინათ და დაბარებული სიტყვებიც ეთქვათ ხონთქრისათვის. Ხონთქარს არ შეშინებია. Გამოუყვანია მელია და ყველა ის მამლები შეუჭმევინებია. Ჩვენესაც უთქვამს: „რახანც მაგრეა, გამობრძანდი მინდორზედ და ვნახოთო!" Და ამ ნაირად დაიწყო, ჩემო Ზურაბია, ლაშქარი.

Ახლა სხვა რამეზედ ვსთქვათ, მეორე ლაშქარზე და ეს ლაშქარი, ვინ იცის, იქნება ჩვენთვის საინტერესო რამე იყოს.

Ბაღში მოდის ლაპარაკით ორი პირი: ერთი არის პედაგოგი და მეორე კი სამოქალაქო ნაწილში მსახურობს.

— Ის საათი დაილოცოს, რასაც საათს ეგ ჩვენში ჩამოეთესლა. Წმინდა გაუხეპავს რომ იტყვიან, ის არის. Არა, იმაში ადამიანის ნიშან წყალი არ არის. Ყველანი მოიმყრალა, ყველას წასცხო ცოტა-ცოტა მაინც თავისი შხამი; ყველას ომი გამოგვიცხადა; თითქმის აღარავინ გადაურჩა. Წარმოსთქვა პედაგოგმა.

— Და რას შესჩერებიხართ, მერე?

რომელიც ჩვენ ერთი ფრანცუზული გაზეთიდამ ამოგვაქვს:

„რუსეთმა 12 აპრილს, დილით, გამოუცხადა პორტას ომი; იმავე წამს ჩვენმა პეტერბურღელ ელჩმა გადმოგვცა ეს ამბავი ტელეგრამმით.

„აცნობეთ იმ მმართებლობას, რომელთანაც თქვენა ხართ დანიშნული პორტ-ს წარმომადგენელად და მოახსენეთ ამასთანავე—თუ რამდენათ ეწინააღმდეგება და არღვევს ყველა განათლებულ ხალხთა შორის დამყარებულ წესებსა და კანონებს მოქმედება რუსეთისა.

„რომ რუსეთმა დაარღვია მერვე მუხლი 1856 წლის პარიჟის ტრაქტატისა, რომლის ძალითაც რუსეთს, ომის გამოცხადებამდინ, ევროპისათვის უნდა ეთხოვნა შუამდგომლობა.

„ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ევროპა ამ გარემოებათ მიაქცევს ჯეროვან ყურადღებას და გაიხსენებს ამას, როცა ომის დაწყების პასუხის-გებაზე ჩამოვარდება სჯა."

—

ერთს ლონდონის გაზეთში იწერებიან, რომ ოსმალეთის სულთანი აბდულ-ჰამიდი ამ თვის 28 (16) უნდა გამოსულიყო სტამბოლიდამ; ჯერ ის დუნაის არმიის დახედვას აპირებს თურმე და მერე ჩვენკენაც მოდისო, ე. ი. ყარსისა და არზრუმის ჯარების დახედვასო.

იმავე გაზეთის სიტყვით, პორტას რამდენიმე აფიცერი გაუგზავნია არაბეთში იმ განზრახვით, რომ იქ ჯარები მოაგროვონ და ყარსისაკენ გამოგზავნონ.

—

რუსის სამხედრო გაზეთში მოყვანილია ანგარიში იმ ჯარებისა, რომელიც მცირე აზიის ბრძოლის ველზედ ჰყავს ოსმალეთს დაბანაკებული და საომრად დამზადებული. ამ ანგარიშიდამ ვტყობულობთ, რომ

ბ ა თ უ მ ი ს კორპუსი შესდგება 26 ბატალიონიდამ; აქედამ 6 ბატალიონი თვითონ ბათუმში დგას და დანარჩენი 20 ბათუმიდამ მოყოლებული რუსის სამზღვრამდინ (ზურიამდინ), მომეტებული ნაწილი ციხისძირში; ამას გარდა 8 ბატალიონი აჭარის სანჯახში, მდ. აჭარის დაყოლებლივ. სულ 34 ბატ., 3 როტა საპიორები და ციხის არტილლერია (ზარბაზნები) ბათუმში.

ა რ დ ა ჰ ა ნ შ ი არის: 11 ბატ. ქვეითა ჯარი, 2 ესკადრონი ცხენოსნები, 5 ბატარეა, 1 როტა საპიორები და ციხის არტილერია.

ყ ა რ ს ი ს კ ო რ პ უ ს შ ი: 21 ბატ. ქვეითი, 9 ესკადრონი ცხენოსნები, 8 ბატარეა, 1 როტა საპიორები, 4 როტა საპიორები და 4 როტა ციხის არტილერია.

ყ ა გ ი ზ მ ა ნ შ ი (რომელიც, როგორც დღევანდელ ტელეგრამმიდამ შეიტყობთ, ჩვენმა ჯარმა აიღო): 1 ბატ. ქვეითი ჯარი და ერთი როტა ცხენოსანი.

ა რ ზ რ უ მ შ ი: 13 ბატ. ქვეითი ჯარი, 2 ესკადრონი ცხენოსანი ჯარი, 10 ბარისა და 3 მთის ბატარეა (ზარბაზნები), 4 როტა საპიორები, 2 ბატ. თავი-უფალი მეომარნი და 2,000 ციხის არტილერია.

ამნაირად სულ აზიის ასპარეზზე ოსმალეთის სამხედრო ძალას შეადგენს: 116 ბატალიონი ქვეითი ჯარი, 29 ესკადრონი ცხენოსანი, 20 ბარისა და რვა მთის ბატარეა, 17 როტა ციხის არტილერია და 10 როტა საპიორები.

—

გენერალი ჩერნიაევი, რომელმანც ასე გამოიჩინა თავი სერბიის ომის დროს, ახლა რუსეთის დუნაის არმიაში ჩაურიცხავთ გენერალურ შტაბის სამსახურში.

—

გერმანიის ელჩად სტამბოლში გერცოგი რეისი დაინიშნა, რომელიც ადრე რუსეთის სასახლესთან იყო დანიშნული გერმანიის წარმომადგენელად. რუსული გაზეთები ამ გარემოებას დიდ მნიშვნელობას აძლევენ, რადგან ეს რეისი რუსეთის სასახლის ნათესავიაო, და კარგათაც დაიცავს იმ რუსეთის ქვეშევრდომებს, რომელნიც ამ ჟამად ოსმალეთში ცხოვრებენ და რომელთაც მფარველობა გერმანიის ელჩსა აქვს მინდობილი. ეს გარემოება, ხსენებული გაზეთების სიტყვით, რუსეთსა და გერმანიას შუა კეთილ-განწყობასა და მეგობრულ დამოკიდებულებას მოასწავებს.

—

დიდის სიხარულით მიუღიათ სერბიის სატახტო ქალაქში ბელგრადში რუსეთისაგან ომის გამოცხადება. რუსეთის ელჩთან მოგროვილა ხალხი და დაუწყიათ ყვირილი „რუსეთს გაუმარჯოს!" შემდეგ ერთი ვილაც სერბიელი ასულა ბელგრადის ციხეზე, სადაც, ახლად შეკრულის პირობის ძალით, ამართული იყო ოსმალეთის დროშა, მოუგლეჯია ეს დროშა და იმის ნაცვლად რუსეთის ბაირაღი გაუკეთებია ჯოხზე.

—

ათინიდამ იწერებიან გაზეთებში, რომ საბერძნეთი ჯერ-ჯერობით ნეიტრალურ მდგომარეობას დაიჭერსო, არც ერთს მხარეს არ მოეხმარებაო; მაგრამ ამასთანავე, ყოველ შემთხვევისათვის, საომრად კი ემზადებაო.

# საქართველო

## დღიური

*** ქალაქის გამგეობისაგან გამოცემულის 1877 წლის თფილისის შესავალ-გასავლის ანგარიშიდამ სჩანს, რომ წელს ქალაქს სულ 435,000 მანეთი შემოსავალი ექნება. ამ ფულებიდამ პოლიციისა და იმის ხელ-ქვეით მყოფ უწყებათათვის ქალაქს 73,130 მანეთს ახდევინებენ ყოველ წელიწადს; სამხედრო უწყებას აძლევს ქალაქი კვარტირის ფულს წელიწადში—123,000 მან.; მეტი ჯამაგირი პოლიციის ჩინოვნიკებისათვის—7,090 მან.; ქალაქის საპყრობილისათვის — 6,317 მან.; მეტეხის საპყრობილისა, საზოგადო ბიბლიოთეკისათვის და სხვ.—8,000.—სულ ამ გარეშე ხარჯისათვის ქალაქის ხაზინას გაუვა წელს—218,000 მანეთი; ამას გარდა ქალაქის გამგეობის შენახვა 72,350 მან. უჯდება ქალაქის ხაზინას; და ამ ნაირად ქალაქის სხვა და სხვა ათას გვარ საჭიროებისათვის, როგორც მაგალითად, ქუჩების მოკირწყლისათვის, განათებისათვის, საექიმო ნაწილისათვის, ქალაქის გასუფთავებისათვის და სხვ. და სხვ. რჩება მხოლოთ 144,000 მანეთი.

*** ქუთაისიდამ გვწერენ, რომ რამდენსამე იქაურს ქალს სურვილი გამოუცხადებიათ, რომ ბრძოლის ველზე წავლენ დაჭრილ და ავათმყოფ მეომრების მოსავლელად და ზოგიერთები კიდეც წავიდნენ ამ განზრახვით ოზურგეთშიო.

*** დიდის სიამოვნებით ვასრულებთ ჩვენ რიონის ატრიადში მყოფ ერთის მომვლელ ქალის თხოვნას, რომ ამ ატრიადის დაჭრილ და ავათმყოფ მხედრებისათვის ერთი ეგზემპლიარი ჩვენის გაზეთისა გაუგზავნოთ ოზურგეთში. ჩვენ გავგზავნით აგრეთვე „დროებას" ყველა ჩვენი მხრის ლაზარეთებში, საიდამაც შეგვატყობინებენ, რომ იქ ქართველი დაჭრილები არიანო.

*** ოზურგეთიდამ მივიღეთ ჩვენ შემდეგი წერილი:

„შესახებ ომიანობისა შემიძლიან მხოლოდ ეს ვსთქვა, რომ ჩვენი ჯარები ჯერ დასავლეთ-სამხრეთის მხრით ნელ-ნელა მიდის. სამწუხაროდ ჩვენთვის რჩება მხოლოდ ეს, რომ მაღლიდგან მუდამ სწვიმს და ძირს საშინელი ტალახია.

„ყოველივე საჭიროება, რაც ჯარებს უნდება, ერთი ორად და სამად შეიქნა; ერთი ქათამი 60 კაპ. იყიდება, ის ყველი, რომელიც 8 ანუ 9 კაპეიკი იყო, დღეს ოცი კაპ. არის, სიმინდი ფუთი 70 იყიდება; პური მესამე და მეოთხე გვარის გირვ. 7 კაპ. არის, ჩალა ფუთი შვიდი აბაზი, ლომიც ამ ფასად იყიდება, ხორცი ფუთი 5 მანეთიდგან 6 მანეთამდის მიდის; ღვინო მანერკა 40 კაპეიკიდგან 50 კაპეიკამდის.

„ესენი ოზურგეთში იყიდება ამ ნაირად, და სადაც ჯარები არის დაბანაკებული, იქ თუ ვინმე წაიღებს და გაჰყიდის, იმისი თქმა ცოტა არ იყოს კიდეც მრცხვენია, ისრე უზომოთ ართმევენ ფულებს. ეს გამყიდველები მარტო ისინი კი არ არიან, ვინც ამ დრომდის ჰყიდდნენ, ეხლა ყველა სოფლის კაცები და ქალები ვაჭრებად გახდნენ."

„ეს სიძვირე ადვილად წარმოსადგენია, თუ გავიხსენებთ, რომ მარტო ჩვენის მაზრიდამ ამ ჟამად თითქმის 3,500 ახალგაზრდა მუშა ხალხია გაყვანილი მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ველზე. ხალხი დაშინებულია, რომ მერმის შიმშილობა არ ჩამოვარდესო და ყველაფერს ხელს უჭერს."

*** თელავიდამ მივიღეთ ჩვენ შემდეგი წერილი:

„დიდი ხნის ნატვრა და სურვილი თელაველებისა აღსრულდა: უფ. შელინმა გახსნა თელავში აფთექა და ვიმედოვნებთ, რომ შესაფერი სიფრთხილით და სინიდისის წინამძღომლობით აღასრულებს ის თავის მოვალეობას.

„გორელები სჩივიან თავიანთ ვაჭრების სხვა და სხვა უსინიდისობაებზედ, და თელავის ვაჭრებმა რაღა მოგახსენონ?! უიმისოთაც ხარბნი და ფულის დანატრულებულნი (რადგანაც ვაჭრობა ძრიელ მცირეა თელავში) თელაველნი ვაჭრები, ამ ომის გადამკიდე გადაიდნენ ყოველ სამზღვარს და სინიდისს, მოუმატეს ყოველიფერს ფასი და გაყიდვის დროს ისეთ დიდ-გულობას, შეერთებულს სიბრიყვესთან, ხმარობენ მყიდველთან, რომ, გეგონებათ, იმათ აუღიათ უმაგრესი ოსმალეთის ციხეებიო! „სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხოთ", არის ნათქვამი ქართულად და სწორედ აქა სრულდება ესა: რომ არავინ არის ხმის გამცემი, რაც უნდათ და როგორც უჯობთ აქაურს ვაჭრებს, ესენიც ისრე მოქმედობენ."

*** თელავიდამვე გვწერენ:

„თელავში ორჯერ მოდის კვირაში ფოშტა და ძრიელ გვიგვიანდება ხოლმე ომის ამბები; დაგნატრით ახლა გორელებო, თფილისელებო და ქუთათურებო, რომლებსაც თითქმის ყოველ-დღე ფოშტა მოგდით და ტელეგრაფიული ცნობები ხომ სხვაა.

„ამბობენ, თელავის ქალაქმა წელიწადში რვა თუმანი რომ შეიტანოს ფოშტის უწყებაში, მაშინ კვირაში სამჯერ მოვა ფოშტაო, და ამაზედ მეტი ადვილი საშუალება რაღა იქნება, თუ მოსაზრება აქვსთ რამე თელაველებს.

„თითქმის ერთი კვირა ზედი-ზედ ავდრები იყო თელავში და ეს ორი დღე არის, რაც გამოიდარა. საშინელს კარგს ბალახებს და საზოგადოთ კარგს მოსავალს მოელიან წელს აქაურები, თუ სეტყვას გადარჩა. საქონლის მრთელიანობაა, მაგრამ ხალხი კი კარგათ აზარალა ყვავილმა შიგ თელავში და მის გარეშემო სოფლებში; ჯერ ისევ ბევრს მსხვერპლი თხოულობს."

*** ჩვენ მივიღეთ შემდეგი შენიშვნა ახალციხიდამ:

„მგონი შეტყობილი გექნებათ თქვენ მკითხველებს, რომ ახალციხეში, ახალციხის საქალაქო გჳობამ (დუმამ) დანიშნა 400 კაცი დასაცველად ქალაქისა რომლის აღსრულებაში მოსაყვანად დანიშნა კომმისია.

„კომმისია შეუდგა რა სულთ აღწერასა, შეიტყო აქაურმა ამქარმა ხალხმა და გააცხადეს სურვილი, რომ ისინი არიან მზად თვითოეულად გამოსვლაზედ. მხოლოდ აწმყო დროისათვის იყენებ ოთხასი კაცი ყოველ დღე ყარაულობისათვის.

„არჩიეს მათ შორის ასის თავები და ათის თავები, და მის უფროსად ნაჩალნიკი და შეუდგნენ ყარაულობას ქალაქ-გარშემო.

„ამ ყარაულებს დიდი სიფხიზლე და სიფრთხილე აქვსთ ყარაულობის დროს. მაგალითს მოგიყვანთ:

„ერთს ბნელს და ტალახიანს ღამეში ერთმა ასის თავმა წაიყვანა თავისი კაცებიდამ 50 კაცი დასაყენებლად საყარაულო ადგილებზე; რა რომ მივიდნენ ზომხების სასაფლაოზედ, ქალაქს გარეთ, (ზედა პლანი) ამათ შემოესმა ფეხის ხმა და დაინახეს, ვიღაც მომავალი წყნარად. ყარაულები გაჩერდნენ თავის უფროსის ბრძანებით; რა რომ ესენი გაჩერდნენ, უცნობიც გაჩერდა და ცოტას ხნის მერე დაიწყო მსვლელობა; ყარაულებმა ჰკითხეს: „ვეჲ ეს?" პასუხი ვერა მიიღეს-რა; კიდევ ჰკითხეს: „ქტო იდოთ?" კიდევ პასუხი ვერ მიიღეს. „ქიმ დური!" კიდევ სიჩუმე. „ვინ მოდის? ეი!" უცნობისაგან მოუვიდათ მხოლოთ პასუხად ფეხის ხმა და ნელი მოძრაობა. ნახა უფროსმა, რომ პასუხი უცნობისაგან ვერა მიიღო-რა, შეშინდა დამარცხებისა და უბძანა ყარაულებს სროლა თოფებისა უცნობ მომავალზედ.

ყარაულების მხარეს შეიქმნა ხმაურობა თოფებისა „გრრრრრ!" ხოლო უცნობის მხარეს ტალახში

რას გამოელით იმისგანა? მე შენ მოგახსენო, ორდენებს მოგიტავინებთ. ნუ თუ თქვენისთანა კაცები ადგილს ვერსად იშოვით? გამოდით, ვაქო, დაანებეთ თავი ამ მასწავლებლობას. სხვა სამსახურში შედით სადმე. თუ არა და განა მაგის მეტი სხვა სასწავლებელი აღარსად არის? იქ გადადით.

— ჩვენი უბედურება ეგ არის, ჩემო ძმაო, რომ ვერ გამოვსულვართ, მანამ ეგ აქ არის. ღმერთმა ჰკითხოს და გადაახდევინოს ჩვენის ცოდვით, რომელმაც ნამსახურობით სიის ფურცელში ის ერთი მომეტებული ხაზი ჩაიყვანა, რომელშიაც იმან თვითვეულ მასწავლებელს ატტესტაცია უნდა ჩაუწეროს.

— ეგ რომელი ხაზი არის? როგორ თუ ატტესტაცია? რატომ ჩვენი ნამსახურობით სიის ფურცლებში არ არის ის ხაზი!

— საქმეც ეგ არის, რომ თქვენსაში არ არის და ჩვენსაში კი არის. განა მე თვითონ არ მინდა სხვაგან სადმე გადასვლა; მაგრამ რა ვქნა? ჩემზედაც ცოტა უკმაყოფილოთ არის და რომ ვსთხოვო ჩემი ნამსახურობითი სია, მაშინვე იმ ხაზში ჩამიწერს: „Поведенія не одобрительнаго, не уживчиваго характера; въ должности не исправенъ и не благонадеженъ", და ვინ იცის იქნება უარესიცა და მომცემს ხელში. მერმე წადი. უველა ამას იტყვის: შენ თუ კაი კაცი ხარ, ესენი რათ ჩაგიწერესო? — და ამოგისმენ ჭიტლალსა. ამისთანა შიშსა და ტანჯვაში ვართ იმისაგან, ჩემო ძმავო, და ეს ჩვენი გაჭირება კი ჩვენს მეტმა აქამდის არა კაცმა იცის...

— ის წინანდელი ჩხუბები და განხეთქილება მასწავლებლებ შორის, რომლითაც გაზეთებს ავსებდნენ და ჩვენ ყურებს გვიბჟუებდნენ, ისევ არის თუ მოისპო?

— რის მოისპო, რის გადმოისპო? ისევ ის თომაები არიან, ისევ ის ტყავი ასხიათ. მაგრამ ისევ მაშინ სჯობდა: მაშინ იმათი მოქმედება გამოცხადებით იყო, ასე რომ კაცს შეეძლო გაფთხილებოდა და ახლა კი სულ ფარულათ, ჩუმათ მოქმედებენ ერთი მეორის წინააღმდეგ. პირში მოგიქოილებს, მოგეფერება, ხელს გრძნობით ჩამოგართმევს, გეგონება, რომ ამას ჩემთვის სიკეთის მეტი არა უნდა რაო და ზურგს უკან კი ორმოს გითხრის; გიჩივის, გასმენს უფროსებთან და ყოვლის ღონის-ძიებით სცდილობს, რომ რაღამე სახით გაგაძევებინოს და შენი ადგილი თითონ დაიჭიროს. იმ ნაირად შეუძრება უფროსს კალთებ ქვეშ, რომ რაღა მოგახსენო. ერთი უბრალო სიტყვა თუ დაგცდა, იმ წამსვე წინ დაგიხვდება ეს შენი ნათქვამი.... მაგრამ, ეჰ! კარგი, ესეცა კმარა! მე ეხლაც მეშინიან, ყური არავინ მოჰკრას ამ ჩვენს ლაპარაკს, თორემ იმ წუთაში თავის ადგილს გააქანებენ: „ესა და ეს კაცი, ამა და ამ კაცს ამასა და ამას ელაპარაკებოდაო. იმან როგორ გაბედა, რომ ჩვენი შინაური საიდუმლო გარეთ გაიტანაო!"

ერთი ახალი, გულის გასართობი ამბავი კიდევ უნდა მოგახსენო. მაგრამ ეს ანექტოტია და ალეგორიათ, გადაკრულ სიტყვათ არ მიიღოთ. აი ეს ამბავიც:

ერთ ქართლელ ტეტიკოს ძროხა დაეკარგა, მოჰპარეს. ბევრი ეძია, მაგრამ ვერ იპოვნა. მერე დაიწყო სიარული და ჩავიდა გორში უეზდის ნაჩალნიკთან—გამოსაცხადებლად.

— რა გინდა, ბიჭო, შენა? ჰკითხავს ნაჩალნიკი.

— რა მინდა, შენი ჭირიმე, და მე რომ ნიშა ძროხა მყავდა, ის მომპარეს.

— როდის მოგპარეს, რამდენი ხანია მას აქეთ?

— იქნება, შენი ჭირიმე, ასე, ერთი ორი თვე.

— მერე აქამდის სად იყავი, გეძინა?

— სულ გადამავიწყდა, ბატონო! ახლა მამაგონდა და გიახელი.

— ვინ მოგპარა და ან როგორ მოგპარეს?

— აი, ბატონო ნაჩალიკო, ჩვენი საქმე როგორ იყო: მამა ჩემი ტყეში იყო, დედა ჩემი წვიმოეთს გახლდათ; თეკლესა და პელოს ეძინათ, მე სამუშავოთ ვიყავ, ლუკა და ვანო ნახირში იყვნენ, ძროხა ბაკში ება. მოსულიყო ვიღაცა, აეშვა და წაეყვანა. ვინც თოკი ახსნა, ძროხაც იმან წაიყვანა.

— მერე, რა გინდა ახლა შენა?

— რა მინდა, შენი ჭირიმე, და იმდენი უნდა ქნა, რომ ძროხა მიპოვნო და ჩამაბარო....

შენ რა გინდა ვინცა ვარ

# განცხადებანი


## ქალაქის გამგეობისაგან

ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ, ქალაქს თფილისში მაწანწალა ძაღლების დასახოცად, ის შეეკრა კანტრაქტით საფრანგეთის მოქალაქეს ლუი ალლომს. ამ კანტრაქტის ძალით, ლუი ალლომმა, სხვათა შორის, იკისრა:

1) რომ ის ზამთარში და შემოდგომაზე ყოველ დღე დილის რვა საათამდინ და გაზაფხულზე და ზაფხულში დილის შვიდ საათამდინ დაიჭერს თფილისის ქუჩებში უპატრონო და მაწანწალა ძაღლებს ბადითა ანუ საგდებელით, მაგრამ ისე რომ ძაღლები წვალებულნი არ იქნებიან და არც ქუჩებში ხმაურობას გააჩენს.

2) ქუჩებში და მაედნებზე მაწანწალა უბრალო ძაღლებს, რომელთაც პატრონი არ ამოუჩნდებათ, ლუი ალლომი დაიჭერს, წაიყვანს ცალკე სადგომში და იქ დახოცს.

3) კარგი მოდგმის ძაღლებს, როგორც მაგალითად: მონადირე ძაღლებს, მწევრებს, მეძებრებს, ნიუფაუნდლენდს, პუდელს, ბოლონკებს, ლივრეტკებს, ბულდოგებს, სან-ბერნარს და სხვ., რომელთაც საბელი არ ექნებათ და რომელნიც უპატრონოდ იბნენ ქუჩებში, მეიჯარადრე დაიჭერს და სამის დღის განმავლობაში თავის ხარჯით შეინახავს; თუ ამ სამს დღეში გამოუჩნდა პატრონი, დაუბრუნებს ძაღლს და შენახვის ფასს ერთს მანეთს გადაახდევინებს პატრონსა; განსაკუთრებით კარგის მოდგმის ძაღლები შეუძლია სამის დღის შემდეგაც შეინახოს, მაგრამ იმ პირობით, რომ თუ პატრონი ამოუჩნდა, დღეში ძაღლის შესანახავად, ორ აბაზზე მეტი არ გადაახდევინოს.

4) ცოფიანი ძაღლები, რაც უნდა კარგის მოდგმის იყოს, იმ წამსვე უნდა დახოცოს და დაჭრილის ტყავით უნდა ჩააგდოს მიწაში.

5) თუ კარგის მოდგმის ძაღლი, რომელიც ცოფიანი არ არის, სამ დღეზე ადრე მოკლა, მაშინ მეიჯარადრე პასუხს აგებს პატრონსა და ვალდებულია იმდენი გადაუხადოს, რამდენათაც ეს ძაღლი დაფასდება.

6) ლუი ალლომსი ვალდებულია ადგილობრივ გაზეთებში გამოაცხადოს, თუ სად მოაგროებს ის ქუჩებში დაჭერილ უპატრონო ძაღლებსა; ეს იმისთვის, რომ პატრონებს შეეძლოსთ ადვილად პოვნა თავის ძაღლებისა, და

7) მეიჯარადრე ვალდებულია ძაღლის პატრონს, რომელიც თავის საქონლის წასაყვანად მისულა, ჩამოართვას ხელწერილი, რომელშიაც მოხსენებული იქნება ამ პირის სახელი, გვარი, საცხოვრებელი ალაგი და აგრეთვე ნიშნები თვითონ ძაღლისა. (3—1)

**მეიჯარადრე ქალაქის ცხენების გადასახადისა** თფილისის მეორე გილდიის ვაჭარი ხ ე ჩ ო ა ბ ა ზ ი ს ძე **აბაზოვი** ამით აცხადებს საყოველთაოთ, რომ ვისაც თავის საკუთარის საჭიროებისათვის ჰყავთ ეკიპაჟის ცხენები, აგრეთვე საბიჟრო ფაეტონებისა და დროშკების ცხენები და ტვირთის გადატანისათვის, უ ნ დ ა შ ე მ ო ი ტ ა ნ ო ნ ჩემს კანტორაში გ ა დ ა ს ა ხ ა დ ი, იმ კანტრაქტის ძალით, რომელითაც თფილისი ქალაქის გამგეობა შემეკრა მე ამ თებერვლის 11-ს სამის წლის ვადით, ე. ი. ამ 1877 წლის 1 იანვრიდამ ვიდრე 1880 წ. 1 იანვრამდე.

ჩემი კ ა ნ ტ ო რ ა ი მ ყ ო ფ ე ბ ა მე-6 უჩაშტკაში, 1 განყოფილებაში თავად ბებუთოვის სახლებში, თათრის მაედანზე, საიდამაც ჩემგნით დაყენებულის, პირისაგან (პოვერენისაგან) მიიღებს ფულების შემოტანის კვიტანციას ჩემ ხელმოწერილს. ჩემი კანტორა გახსნილია დილის 8 საათიდამ საღამოს 5 საათამდინ.

გამოვიდა ახალი ქართული წიგნი
**მზით-უნახავი ქალი**
ისყიდება ენფიანჯიანცის წიგნის მაღაზიაში
ფასი 5 კოპ.

**LA VELOUTINE**
(ველუტინი)
ერთნაირი ბრინჯის პუდრი (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.
ისეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.
კანს ეკვრება და არა სჩანს.
შ. ფ ა ი — გ ა მ ო მ გ ო ნ ი
**pommade satin**
(ატლასის პომადა)
ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.
9, Rue de la Paix, Paris
156—127


| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი | 6 | 47 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია | 7 | 41 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| აკ.-სენაკი | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი | 9 | 40 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი | 9 | 13 | | | | | | |
| აკ.-სენაკი | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია | 11 | 16 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

**ცეცხლის გემები**

ა) ფოთიდამ მიდის:
ოდესისკენ — ხუთშაბათს დილით.
სტამბოლს — კვირაობით, დილას.
ბ) ოდესსიდამ:
ფოთისკენ — ხუთშაბ., ნასად. 3 საათ.
სტამბოლს — ოთხშაბათს, შუადღეზე

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესსამდი | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში | 3 | 50 |
| ინგლისში | 3 | 75 |

**ფოშტა**

ა) თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:
საზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ. და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს — სამშ. და შაბ.
ბ) ქ უ თ ა ი ს ი დ ა მ:
თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.
გ) გ ო რ ი დ ა მ.
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.
დ) ფ ო თ ი დ ა მ.
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ლია წიგნის | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 21 აპრილს | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში $3^1/_2$ პენსი. | — | 84 |
| პარიჟში 271 სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | $7^1/_2$ | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 94 | — |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 188 | 25 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 184 | 25 |
| ბირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | — | — |
| ხერსონის ბანკის ($5^1/_2$) | 79 | — |
| მოსკოვის (5%). | 86 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 158 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | — | — |
| შავი ზღვის ცეცხ. გემების | 497 | — |
| კავკაზის და მერკურის. | 185 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 712 | 50 |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 235 | 50 |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 265 | — |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 27 აპრილს | | |
| პური შოთაგალის ფთ. | 1 | 80 |
| ქერი ფუთი. | — | 95 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი. | 5 | 60 |
| — ამერიკისა, ფუთი. | 6 | 20 |
| გაპენტილი ბამბა ფთ. | 7 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 6 | 70 |
| — თარაქამისა ფთ. | 4 | — |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 3 | — |
| ქონი, ფუთი. | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 11 | 60 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 90 |
| — ცხვრისა, ლიტრა. | — | 90 |
| სპირტი, ვედრო. | 8 | — |
| შაქარი, ბროც. ფუთი. | 8 | 50 |
| — ფხვნილი ფუთი. | 5 | 40 |
| ყავა გრგვალი, ფუთი. | 20 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 5 | 30 |
| ოქრო ½ იმპერიალი. | 7 | 47 |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 Апрѣля 1877 г. Типографія Меликова გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.